

არასტაბილურობა საქსრეთ კავკასიაში



დასავლეთის დღის წესრიგში

დანიელ კრავერი

არასტანდარტული საშესრულო კავკასიაში



დასავლეთის დღის წესრიგში

დავიდ ქაბეჩი

დევიდ კრამერი ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტივენ გრინის საერთაშორისო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სკოლის უფროსი მკვლევარი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილეა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საკითხებში



როდესაც საქმე ევრაზიის რეგიონს ეხება, მსოფლიოს უდიდესი ყურადღება მიპყრობილია ბელარუსის დიქტატორის ალექსანდრ ლუკაშენკასკენ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ იძულებით დასვა სამოქალაქო თვითმფრინავი მინსკში, რათა ბელარუსი ჟურნალისტი და რეჟიმის კრიტიკოსი რომან პროტასევიჩი გაეტაცა. ამ შემთხვევამდე ცოტათი ადრე შეშფოთებას უკრაინის საზღვართან რუსეთის სამხედრო ძალების მობილიზება და ოკუპირებულ ყირიმში ამ ორ ქვეყანას შორის საბრძოლო მოქმედებების განახლება იწვევდა. იყო ასევე მძიმე ვითარება რუსეთის ოპოზიციის ლიდერთან ალექსეი ნავალნისთან დაკავშირებით, რომელიც იანვარში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების მიერ მონამვლის მცდელობის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებისას დააპატიმრეს; მიუხედავად ოდნავი გაუმჯობესებისა, მისი მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

მემოთ ჩამოთვლილი საკითხები, დიდი ალბათობით, დღის წესრიგში იქნება, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მის რუს კოლეგას, ვლადიმირ პუტინს, 16 ივნისს ჟენევაში შეხვდება. შეიარაღების კონტროლი და გაუვრცელებლობა, კლიმატის ცვლილება, სტრატეგიული სტაბილურობა, რუსეთის მხრიდან ჰაკერული თავდასხმები და არჩევნებში ჩარევა - ყველა ეს საკითხი განხილვის საგანი იქნება ლიდერების იმ შეხვედრაზე, რომელიც ორ კვირაში შედგება.

სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას, სავარაუდოდ, არ შეეხებიან ან თუ შეეხებიან, მას, ალბათ, ძალზე მცირე ყურადღება დაეთმობა, თუ, რა თქმა უნდა, ომი არ განახლდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ანდა ასეთი დაპირისპირების მზარდი ნიშნები არ გამოჩნდა. სავარაუდოდ, ბაიდენისა და პუტინის შეხვედრაზე საქართველოს საერთოდ არ ახსენებენ, რომელსაც შეერთებული შტატები ძალიან მცირე ყურადღებას უთმობს, ყოველ შემთხვევაში, საჭაროდ, თუ არ ჩავთვლით თბილისში აშშ-ის ელჩის ძალისხმევას.

ამის საპირისპიროდ, ევროკავშირმა, წელს, საკმაოდ დიდი დიპლომატიური ენერჯია დახარჯა საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დასრულებაზე. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მონაწილეობით მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც ორი პოლიტპატიმარი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) ლიდერი ნიკა მელია და მედიაორგანიზაციის თანამფლობელი გიორგი რურუა გათავისუფლდნენ, თუმცა მელიას გირაოს გადახდა ორგანიზაციას „ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის“ მოუწია. თებერვალში მელიას დაპატიმრებამ საქართველოში არსებული პოლიტიკური ჩიხი კრიზისში გადაბარდა.

მელიას გამოშვების შემდეგ ენმ-მ პარლამენტში შესვლის გადანყვეტილება მიიღო. პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა საკანონმდებლო ორგანოს გასული წლის შემოდგომაზე დანიშნული არჩევნების ჩატარების ფორმისა და შედეგების გაპროტესტების შემდეგ. ეს სწორი გადანყვეტილება იყო. ენმ-ს პარლამენტის ბოიკოტი რომ გაეგრძელებინა, პარტია შესაძლოა ჩიხის გახანგრძლივებაში დაედანაშაულებინათ და დასავლეთის ლიდერებს საქართველო უიმედო შემთხვევად მიეჩნიათ. ეს კი ტრაგედია იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რა თავდაუზოგავად ცდილობენ ქართველები ევროატლანტიკურ თანამეგობრობასთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციას. წლების განმავლობაში საქართველო მიჩნეული იყო დემოკრატიის კუნძულად ავტორიტარიზმის მორევში, მაგრამ არსებითად ერთპარტიული პარლამენტის ყოლა ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმების კატეგორიაში მოაქცევდა. პარლამენტში ძალაუფლების სათანადო გადანაწილების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ ოპოზიციამ თავისი მანდატები ეფექტიანად გამოიყენოს.

რა თქმა უნდა, საქართველოს პრობლემები უფრო ღრმაა. მმართველი პარტია, „ქართული ოცნება“, აგრძელებს პროკურატურის და სასამართლოს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას; ოპოზიციის პოლიტიკურად დასასუსტებლად იწყებს გამოძიებებს ენმ-ის წარმომადგენლების და სხვა ფიგურების

წინააღმდეგ, რითიც მათ ერთგვარი დამოკლეს მახვილის ქვეშ ამყოფებს. საქართველო უნდა დაუბრუნდეს კანონის უზენაესობის სისტემას, დამოუკიდებელი მართლმსაჯულებითა და ნდობის მქონე პროკურატურით.

საარჩევნო რეფორმის განხორციელებაც უმნიშვნელოვანესია მოსახლეობაში ნდობის აღსადგენად, რომ არჩევნებში ხმების მიცემა და დათვლა სათანადოდ მოხდება. საარჩევნო პროცესის შესაცვლელი კანონპროექტები პარლამენტში განიხილება, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ენმ-ის და სხვა ოპოზიციური პარტიების პარლამენტში ყოფნის საჭიროებას ასეთ რეფორმებზე დებატებსა და კენჭისყრაში მონაწილეობისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარს მომდგარი ადგილობრივი არჩევნების და ასევე, წელს ან გაისად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესაძლებლობის გათვალისწინებით, რაც ნაწილობრივ ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე დამოკიდებული. კორუფციასთან ბრძოლას, რაშიც წარსულში საქართველომ კარგი შედეგები აჩვენა, სერიოზული გაძლიერება სჭირდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოვიდპანდემიით დაზარალებული ეკონომიკისთვის, რის შედეგადაც საქართველომ და მისმა მოსახლეობამ უძძიმესი დანაკარგები განიცადეს.

სამწუხაროდ, დასავლეთმა მცირე დახმარება გაუწია პანდემიასთან ბრძოლაში. ქართველების უმეტესობა არ ენდობა რუსულ ვაქცინას, მაგრამ დასავლური ალტერნატივების არარსებობის პირობებში ჩინური „სინოვაკისა“ და სხვა შესაძლებლობების მოლოდინშია. განსაკუთრებით აქ კარგავს დასავლეთი და შეერთებული შტატები უდიდეს შესაძლებლობას. რეგიონის ყველაზე პროამერიკული 4-მილიონიანი ქვეყნის დახმარება პრიორიტეტი უნდა იყოს ბაიდენის ადმინისტრაციისთვის ვაქცინების სხვა ქვეყნებისთვის განაწილების დროს. ასეთი დახმარების ნაკლებობას ახლავს დასავლეთსა და ამერიკაზე ქართველების განაწყენების რისკი, რაც თავიდან უნდა ავიცილოთ. თავის მხრივ, ასეთი ვითარება მოსკოვს მეტ სივრცეს დაუტოვებს დემინფორმაციის გამოყენებისა და ანტიამერიკული პროპაგანდის გაძლიერებისთვის, რომლითაც აშშ-ს არასაიმედო მოკავშირედ წარმოაჩენს. რუსული დემინფორმაცია ისედაც მძლავრადაა საქართველოში, რომლითაც შეთქმულებების თეორიებიც კი ვრცელდება, თითქოს ეს ვირუსი ქვეყნის ლუგარის ლაბორატორიაში შეიქმნა.

მიმდინარე კვირას დაგეგმილი სენატორ ჯინ შაჰინის ხელმძღვანელობით კონგრესის დელეგაციის ვიზიტი თბილისში მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა იმის მისანიშნებლად, რომ აშშ-ს საქართველო არ დავიწყებია. ამ დელეგაციამ უნდა აღნიშნოს საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი ნატოს მისიაში ავღანეთში და აშშ-ის ხელმძღვანელობით ერაყში წარმოებულ ოპერაციაში, რაც ადასტურებს რომ საქართველო წმინდა კონტრიბუტორია საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. რამდენიმე ათეულმა ქართველმა შესწირა საკუთარი სიცოცხლე და ეს დანაკარგი აღიარებული უნდა იქნეს. საქართველოს ასევე შეუძლია სასარგებლო როლის შესრულება ავღანეთიდან ამერიკული და მოკავშირეთა სამხედრო ძალების გამოყვანაში. საქართველო დასავლეთის ჭიმკარია ცენტრალურ აზიასთან ვაჭრობისთვის და აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ეკონომიკურად გამართლებული ერთადერთი მაგისტრალის ერთ-ერთი მთავარი მონაკვეთი, რომლის გავლითაც საქონელი და რესურსები მილსადენებით, რკინიგზითა და ავტომაგისტრალებით გადაიზიდება შავ ზღვამდე და მის იქით რუსეთისა თუ ირანის გვერდის ავლით.

ამავე დროს შაჰინმა და მისმა კოლეგებმა უნდა შეახსენონ საქართველოს მთელ პოლიტიკურ კლასს, რომ საქართველოს და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა საერთო ინტერესებსა და ღირებულებებს ემყარება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა პარტიამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ არ დაუშვას ისეთი პოლიტიკური კრიზისის გამეორება, რისი მომსწრეც ქვეყანა ბოლო რამდენიმე თვე და ასევე, ბოლო რამდენიმე წელი იყო. საქართველო გამოირჩეოდა, მათ შორის, დემოკრატიის წინსვლით, რასაც ბოლო დროს ბიანი მიადგა. უნდა შეწყდეს პოლიტიკურად მოტივირებული დევნა და დაკავებები; ნაცვლად ამისა უნდა იყოს სრული გამჭვირვალობა, ყველა მხარის მონაწილეობა პოლიტიკურ და საკანონმდებლო პროცესებში და სრული ანგარიშვალდებულება.

სანაცვლოდ, შაჰინი და მისი დელეგაცია ვაშინგტონში ბაიდენის ადმინისტრაციასთან უნდა დაბრუნდეს გზავნილით, რომ გააძლიეროს მისი ქმედება და მონაწილეობა ამ რეგიონში. ეს მოიცავს კონტურების მეტად გამოკვეთას შავი ზღვის სივრცეში, ამ რეგიონში ნატოს რამდენიმე მოკავშირის მიერ წამყვანი როლის შესრულების გზით. ეს ასევე უნდა მოიცავდეს საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების განხილვას, თუ ქვეყანა პოლიტიკურად დამშვიდდება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რომელშიც რუსეთმა ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა, საქართველომ ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირების ვალდებულება აიღო. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აშშ-მა 4 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თავდაცვითი და სხვა სახის დახმარება გაუწია საქართველოს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარების და ევროატლანტიკური მისწრაფების ხელშესაწყობად,

ასევე რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის გასაძლიერებლად. ჩვენ საქართველოს წარმატებაში ინვესტიციას წლების განმავლობაში ვაბანდებთ და ეს დახმარება ამ უფრო პრობლემურ დროში უნდა გაგავრძელოთ.

სომხეთისა და ამერბაიჯანის შემთხვევაში ორივე, ევროკავშირიცა და შეერთებული შტატებიც, ძირითადად, პასიურობდა. ამ ორ მეომარ მხარეს შორის მომლაპარაკებლების როლს რუსეთი და შედარებით ნაკლები ხარისხით, თურქეთი ასრულებდნენ, განსაკუთრებით იმ 44-დღიანი ომის საბოლოოდ თუ არა, დროებით დასრულებაში, რომელიც გასულ შემოდგომაზე მთიან ყარაბაღში მიმდინარეობდა. ამ შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, რომელმაც ორივე მხარეს ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა, სახალხო ხავერდოვანი რევოლუციის გზით 2018 წელს ხელისუფლებაში მოსულ სომხეთის პრემიერმინისტრ ნიკოლ ფაშინიანს არჩევანი არ დაუტოვა გარდა იმისა, რომ ამერბაიჯანისთვის დაებრუნებინა იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც სომხეთმა მთიანი ყარაბაღის პირველი ომის დროს დაიკავა, მათ შორის, ამ ანკლავის მიღმა მდებარე ყველა საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია. პაშინიანი ასევე დათანხმდა მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილის უდიდესი მონაკვეთის დაბრუნებაზე, მათ შორის ქალაქ შუშის დაბრუნებაზე, რომელიც რეგიონის დე ფაქტო დედაქალაქს - სტეპანაკერტს გადააწყურებს.

სომხებმა შეინარჩუნეს კონტროლი ანკლავის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილებზე, მათ შორის დედაქალაქზე. თუმცა, ლაჩინის დერეფანს, ამ 5 კილომეტრის სიგანის ერთადერთ გზას, რომელიც თავად სომხეთს აკავშირებს მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებთან, რომლებიც მთიან ყარაბაღში შემორჩა, რუსეთის სამშვიდობოები აკონტროლებენ. სომხეთის მიერ თითქმის 30-წლიანი კონტროლის შემდეგ, 9 ნოემბერს მოსკოვის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გზით მთიანი ყარაბაღის დიდი ნაწილი და მის ირგვლივ მდებარე შვიდივე რაიონი ამერბაიჯანის მმართველობის ქვეშ მოექცა. მთიანი ყარაბაღი ამერბაიჯანის შემადგენელ ნაწილადაა საერთაშორისოდ აღიარებული. თუმცა, „რადიო თავისუფლების“ ცნობით, ეთნიკური სომხები, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, ეწინააღმდეგებიან ამერბაიჯანის მმართველობას. ბევრი სომხის დიდი იმედგაცრუება გამოიწვია იმან, რომ შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების შემდეგ რუსეთმა არ იჩქარა სომხეთისთვის შეიარაღებით დახმარების გაწევა; რუსეთი არ იძვროდა მაშინ, როდესაც თურქეთი ჯარისკაცებს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ამერბაიჯანს უწევდა დახმარებას და ამხნევებდა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ჩარევით შეიარაღებული დაპირისპირება დასრულდა, პუტინს შეუძლია იამაყოს, რომ მას ჯარები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში - სომხეთში, ამერბაიჯანსა და საქართველოში ჰყავს, თუმცა საქართველოში ისინი დაუპატიჟებლად არიან და მათ არავინ მიესალმება. 1991 წლის შემდეგ რუსეთის სამხედრო ძალები პირველად დაბრუნდნენ ამერბაიჯანში ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველსაყოფად. სომხეთში რუსეთს სამხედრო ბაზა აქვს და ის ქვეყნის უსაფრთხოების გარანტორად არის მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეს იმიჯი გასული წლის შემოდგომაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პარალელურად, თურქეთმა თავისი არმია პირველად განალაგა ამ რეგიონში ერთი საუკუნის შემდეგ.

კრიზისის ასეთი მოგვარებით გამოწვეული მზარდი უკმაყოფილების, მათ შორის სომხეთის სამხედროების მხრიდან უკმაყოფილების ფონზე ფაშინიანი აპრილში გადადგა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 20 ივნისს დაინიშნა. გასულ კვირას გადადგა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც, არა აივაზიანი, რომელიც 6 თვის წინ დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რაც სომხეთის პოლიტიკაში ამინდის ცვლილების მაჩვენებელია. ფაშინიანისთვის კონკურენციის განწევა გეგმავს ყოფილი პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი, რომლის პოპულარობაც ფაშინიანის პოპულარობის დაცემის პარალელურად გაიზარდა. კოჩარიანი, რომელიც 1998-2008 წლებში სომხეთის, ხოლო 1994-1997 წლებში მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტი იყო, წლებია კარგ კავშირებს ინარჩუნებს რუსეთის ხელისუფლებასა და პირადად პუტინთან, რაც შესაძლოა სომხებმა პოზიტიურ ასპექტად მიიჩნიონ გასული წლის შემოდგომის მოვლენების შემდეგ. 9 მაისს კოჩარიანმა ახალი ალიანსი ჩამოაყალიბა, სახელად „ჰაიასტანი“ (სომხეთი), „სომხეთის აღორძინების“ პარტიისა და „სომხეთის რევოლუციური ფედერაცია დაშნაკცუთუინის“ მონაწილეობით, რომელიც ვადამდელ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. უჭველია, რომ ეს პუტინს ახარებს, რადგან კრემლი უკმაყოფილო იყო ფაშინიანის ინიციატივებით დასავლეთთან თანამშრომლობის თაობაზე.

დაახლოებით 5,000 სომეხი ჯარისკაცი დაიღუპა მთიანი ყარაბაღის მეორე ომში, ხოლო 3,500 დაკარგულად ითვლება. თითქმის 260 სამხედრო ტყვე და გატაცებული მშვიდობიანი მოქალაქე ჰყავს ამერბაიჯანის ხელისუფლებას უკანონოდ დაკავებული რუსეთის ჩარევით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც კი, რაც აბათილებს პუტინის განცხადებებს „სამშვიდობო შეთანხმებით“ შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შესახებ. ცოტა ხნის წინ სომხეთიცა და ამერბაიჯანიც აცხადებდნენ, რომ მეორე მხარემ

ცეცხლის შეწყვეტაზე გასულ წელს მიღწეული შეთანხმების პირობები დაარღვია. ისინი ერთმანეთს სდებდნენ ბრალს დემარკაციის ხაზი მეორე მხარისთვის ცეცხლის გახსნაში; სომხეთმა ამერბაიჯანი რამდენიმე სომეხი ჯარისკაცის დაკავებაში დაადანაშაულა. ამასობაში იზრდება დაღუპულთა რიცხვი და მშვიდობიანი მოქალაქეები გაჭირვებას განიცდიან. სომხეთის მომავალმა არჩევნებმა შესაძლოა ორივე მხარეს გაუღვივოს ცდუნება, განაახლოს შეიარაღებული დაპირისპირება.

რუსეთმა შუამავლობის შეთავაზება განაახლა, თუმცა პირველ რაუნდზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, იმედი მცირეა, რომ ასეთი მედიაციის მეორე რაუნდი უკეთესი შედეგით დასრულდება. ამავდროულად, „მინსკის ჯგუფმა“, რომელშიც შედიან აშშ და საფრანგეთი რუსეთთან ერთად და რომელიც მონიტორინგს უწევს 1994 წელს სომხეთის, ამერბაიჯანისა და მთიანი ყარაბაღის მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის სამშვიდობო შეთანხმების შესრულებას, არანაირი მონაწილეობა არ მიიღო გასული წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების აღსრულებაში და არც ახლა ჩანს სადმე. არც აშშ-სა და ევროკავშირის ეტყობა მზაობა, ჩაერთონ და საკუთარი სამსახური შესთავაზონ, რითიც მოსკოვსა და ალბათ, ანკარას ისევ მოედანს უთმობენ. რუსეთმაც და თურქეთმაც ისარგებლეს მოცემული შესაძლებლობით, გაეფართოებინათ კონტროლი და გავლენა რეგიონში გასული წლის შემოდგომაზე რუსეთის და თურქეთის პირობებით შედგენილი შეთანხმების ხელმოწერის გზით და სრულად უგულებელყვეს „მინსკის ჯგუფის“ 28 წლიანი (თუმცა, წარუმატებელი) ძალისხმევა, მიეღწია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარებისთვის.

აშშ-მა სასწრაფოდ უნდა გაზარდოს საკუთარი როლი. სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია ამერიკისა და ევროპისთვის, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, განსაკუთრებით, რეგიონში რუსეთის და თურქეთის გავლენების ზრდამ, შესაძლოა ამერიკის როლი შეამციროს. სომხეთსა და ამერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლება შეიძლება რეგიონის ფარგლებს გასცდეს, თუ მოსკოვი და ანკარა საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და შესაბამისად, ერევანსა და ბაქოს მიემხრობიან. ეს საქართველოს ამ ორ ერთმანეთთან მეომარ მებრძოლს შორის მოაქცევს. შესაძლოა, ირანმაც სცადოს საკუთარი გავლენის რეგიონში გაძლიერება, რაც ნამდვილად არ წაადგება არც ამერიკულ ინტერესებს და არც რეგიონის რომელიმე სხვა ქვეყნისას.

ისინი, ვინც საქართველოში არსებული დესტაბილიზაციითა და ქაოსით სარგებლობს, კრემლში სხედან. მხოლოდ ამის გააზრება უნდა იყოს საკმარისი გამოსაფხიზლებლად ყველასთვის საქართველოში და საქართველოს მეგობრებისთვის დასავლეთში, რომ ყველა მხარემ კეთილსინდისიერად იშრომოს პარლამენტში მრავალპარტიული წარმომადგენლობის თაობაზე კომპრომისის მისაღწევად. საქართველოში შეერთებულ შტატების დიდი გავლენის გათვალისწინებით, მას შეუძლია ერთ-ერთი წამყვანი როლი ითამაშოს იმის ხელშეწყობაში, რაც ქვეყანას სჭირდება, რომ სწრაფად წავიდეს წინ.

აშშ-მა უნდა გააძლიეროს სამხედრო ყოფნა შავი ზღვაში, რეგიონში მეტი გემის რეგულარულად გაგზავნის გზით, რაც ამერიკის უსაფრთხოების ინტერესების მუდმივი შეხსენება იქნება; ეს მნიშვნელოვანია უკრაინისთვის სოლიდარობის გამოხატადაც.

ასევე, საჭიროა დიპლომატიური ყოფნის გაძლიერება. ბაიდენის ადმინისტრაციისთვის პრობლემა ნაწილობრივ ისიცაა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრი პოზიცია, მათ შორის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ჯერ კიდევ ვაკანტურია. კარგი ამბავი ისაა, რომ ამ პოზიციაზე კანდიდატად ძალიან ნიჭიერი ადამიანი, კარენ დონფრიდი, წარადგინეს, რომელიც ამჟამად „გერმანიის მარშალის ფონდის“ პრეზიდენტია (და ბოლომდე რომ გავტყდეთ, ჩემი ახლო მეგობარი) არც ისე კარგი ამბავი კი ის არის, რომ ის ამ პოზიციაზე ჯერ სენატმა უნდა დაამტკიცოს. ის ამ რეგიონის საკითხებზე ძალიან საჭირო დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილეს, ჯორჯ კენტს, უაღრესად ნიჭიერ კარიერულ დიპლომატს, რომლის პასუხისმგებლობაში ასევე შედის ბელარუსი და უკრაინა, რასაც მისი დროის უდიდესი ნაწილი მიაქვს. სენატორ შაჰინის ვიზიტი, რომელიც პანდემიის დაწყების შემდეგ კონგრესის წევრების პირველი ვიზიტია, დაეხმარება იმ სიცარიელის ამოვსებას, რაც ამდენი ხანია ადმინისტრაციის მიერ არის დატოვებული.

პრეზიდენტმა ბაიდენმა გააკეთა კომენტარი სომხეთსა და თურქეთს შორის არსებულ ხანგრძლივ გადაუჭრელ პრობლემაზე, როდესაც 24 აპრილს მან, პირველად რონალდ რეიგანის შემდეგ, სამართლიანად განაცხადა, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების მასობრივი მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გენოციდის ტოლფასი იყო. არ არის გასაკვირი, რომ ერდოღანი უკმაყოფილო დარჩა ამ განცხადებით, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, ამან რაიმე სერიოზული ზიანი მიაყენოს აშშ-სა და თურქეთის ურთიერთობებს, ანდა აშშ-ის მდგომარეობას რეგიონში. ბაიდენს შესაძლოა ჰქონდეს ერდოღანთან რეგიონის პრობლემების

განხილვის შესაძლებლობა ნატოს სამიტის მიმდინარეობისას, რომელიც ბრუსელში მომავალ კვირას გაიმართება.

თუმცა, ყველაზე მეტ ყურადღებას, რა თქმა უნდა, ბაიდენის პუტინთან შეხვედრა მიიპყრობს. მარტში ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვაზე, მიიჩნევდა თუ არ ის პუტინს „მკვლელად“, ბაიდენმა უპასუხა, რომ მიიჩნევდა. ეს მოასწავებს, რომ 16 ივნისს ჟენევაში ამ ორი ლიდერის შეხვედრა სასიამოვნო არ იქნება. პოზიტიურს ბევრს არავინ არაფერს ელის ამ შეხვედრიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამერიკის სამიზნეებზე გრძელდება ჰაკერული თავდასხმები, რომელთა უკანაც რუსეთი მოიაზრება. რუსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის სწრაფი გაუარესებისა და ბელარუსისა და უკრაინის ირგვლივ არსებული დაძაბულობების ფონზე სამხრეთ კავკასია, საგარაუდოდ, დღის წესრიგიდან გაქრება, თუ სომხეთი და ამერბაიჯანი არ განაახლებენ შეირაღებულ კონფლიქტს. უდავოა, რომ ეს ყველაზე სამწუხარო მიზეზი იქნება, რომელიც ამ რეგიონს ფოკუსში მოაქცევს ბაიდენისა და პუტინის შეხვედრის დროს.

